ტელეფონი მესამე — ფასი 10 კაპ. — შაბათი, 1917 წ. თიბათვის 24 (6)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო



ხელის მოწერა და კერძო განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакц. „Сакартвело“, почт. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივ განცხადებათა ფასი ყველა გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. თვეურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 136 — ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა — № 136

# ქართველნო მოქალაქენო!

## საარჩევნო სიები გამოქვეყნდა.

## მათი შესწორება ოთხშაბათამდის შეიძლება.

## არ დაკარგოთ საარჩევნო უფლება!

---

**ქართველ მსროლელთა პოლკის ოფიცრობა**
გულის ტკივილით აცნობებს საზოგადოებას, რომ ქურთისტანში (სპარსეთში) თიბათვის 8 ს ბრძოლაში მტრისგან მოკლული იქმნა ძვირფასი ამხანაგი, ოფიცერი

**გრიგოლ სილიბისტროს ძე**

## გოცირიძე

რომლის ცხედარიც მოასვენა სამშობლოში იმავე პოლკის ადიუტანტმა, დიმიტრი სოფრომის ძე ალადაშ. მიცვალებული დაკრძალული იქნება სოფ. სორში, რაჭის მაზრაში, თიბათვის 24

3—683—3

---

## თბილისის საქალაქო საარჩევნო კომიტეტის ქალაქის მმართველობისაგან საქალაქო არჩევნებისათვის

თბილისის საარჩევნო კომიტეტი ამით აუწყებს, რომ ამომრჩეველთა სიები წარდგენილია საყოველთაო განსახილველად.

თიბათვის 24-ს დილის 9 საათიდან (მე 9-ე მუხლი საქალაქო არჩევნების დროებითი წესებისა) ხუთი დღის განმავლობაში საარჩევნო უფლების მქონეთ შეუძლიანთ ცნობები მიიღონ შემდეგ ადგილებში:

თბილისის საქალაქო საარჩევნო კომიტეტი მოთავსებულია საარტისტო საზოგადოების საზამთრო შენობაში (გოლოვინის პროსპ.).

**პირველ** სამილიციო უბნის საარჩევნო ბიუროში—ოლღას ქუჩა საქალაქო სასწავლებელი, სახლი მაჩაბლისა № 52.

**მეორე** საარჩევნო ბიუროში—არტისტიული საზოგადოების საზამთრო სადგომში (გოლოვინის პროსპექტი).

**მესამე** საარჩევნო ბიუროში—მესამე საქალებო გიმნაზიის შენობაში (ბებუთოვის ქუჩა).

**მეოთხე** საარჩევნო ბიუროში—სახელოსნო სკოლის სადგომში (ექსარხოსის მოედანი).

**მეხუთე** საარჩევნო ბიუროში—ქალაქის სამკურნალოში (ვორონცოვის ქ.)

**მეექვსე** საარჩევნო ბიუროში—ნადეჟდინის ბავშვთა თავშესაფარის სადგომში (რეიტერის ქუჩა).

**მეშვიდე** საარჩევნო ბიუროში—ავლაბრის კლუბის საზამთრო შენობაში (კახეთის მოედანი).

**მერვე** საარჩევნო უბანში—პირველი კომერციული სასწავლებლის შენობაში (19 თებერვლის ქუჩა).

**მეცხრე** საარჩევნო ბიუროში—საქალაქო პეტრე დიდის სახელობის სკოლის შენობაში (ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29).

**მეათე** საარჩევნო ბიუროში—ქალაქის სახალხო სახლი (კიროჩნი ქუჩაზე).

**მეთერთმეტე** საარჩევნო ბიუროში—სასურსათო კომიტეტის სადგომში (პავლოვსკის ქუჩაზე).

**მეთორმეტე** საარჩევნო ბიუროში—რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებლის შენობაში (შერემეტიევის ქუჩა—დიდუბე).

თუ ვინიცობაა სიებში ვინმე გამოტოვებულია ან რაიმე შეცდომები აღმოჩნდება, ამის შესახებ მოქალაქეებმა უნდა განუცხადონ ზემოხსენებულ ადგილებში კომისიებს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე თიბათვის 24, 25, 26 და 28. თიბათვის 28 საღამოს 9 საათზე განცხადებათა მიღება შესწყდება. განცხადებაში, წერილობითი იქნება იგი თუ სიტყვიერი, უნდა მოყვანილ იყოს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ სიებში გამოტოვებულ პირს საარჩევნო უფლება აქვს. ესენია 1) რომ ხსენებული პირი სიების შედგენის დაწყებისას, ე. ი. მაისის 28 თბილისში ცხოვრობდა, 2) რომ ის რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომია, 3) მისი წლოვანება. ამომრჩეველს, რომელსაც პირადად არ შეუძლია გამოცხადდეს საარჩევნო ბიუროში სიაში შესწორების შესატანად, შეუძლია რწმუნებულს მიანდოს ეს საქმე. თბილისის გარეთ მცხოვრებმა ამომრჩეველმა კი, ფოსტით ან დეპეშით უნდა მიმართოს თბილისის საარჩევნო კომიტეტს, ამ შემთხვევაში განცხადებაში საჭიროა დაწვრილებითი ადრესის აღნიშვნა და საჭირო დოკუმენტების წარმოდგენა. ვინც აღნიშნულ ხუთ დღეში განცხადებას არ შეიტანს, მას საარჩევნო ხმა ეკარგება.

---

## ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის მე-X და XII უბნის კომიტეტი

მოუწოდებს უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთ და თანამგრძნობთ დაესწრონ

## საერთო კრებას

რომელიც გაიმართება 25 თიბათვეს, დილის 11 საათზე, ახალ საკრებულოში (მახეილის ქუჩა № 129).

**კრების საგანი:** მოხსენება დელეგატისა კონფერენციის მუშაობის შესახებ და საქალაქო არჩევნები.

3—742—2

---

## ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სახახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

10—740—2 — **კომიტეტი ქ. ს. კ.**

---

# თბილისის წვრილო ვაჭრებო!

## თბილისის წვრილ ვაჭართა საპროფესიო საზოგადოების მთავარი კომიტეტი

ამით გიცხადებთ თქვენ, როგორც უბნის კომიტეტებს, აგრეთვე წვრილ ვაჭართა საზოგადოების წევრთ, რომ ყველა წვრილ ვაჭართა, სავაჭროები უნდა გაიღონ დილის 7 საათზე და დაიკეტოს საღამოს ცხრა საათზე, კვირა უქმე დღეებში კი ვისაც შეუძლია უმოსამსახუროთ ვაჭრობა მათ გაიღონ სავაჭროები დილის 7 საათზე და დაკეტონ ნაშუადღევის ორ საათზე. თუ რომელსამე ჰყავს მოსამსახურე, იგი თავის ვალდაზე მოვიდეს და თავ-თავის ვალდაზე წავიდეს დაუბრკოლებლად.—ხოლო ვისაც ნება არა აქვს წვრილი სავაჭროები, ძალ-მომრეობით დააკეტინოს და თუ სადმე ამ გვარი ძალმომრეობის და თავისუფლების შემზღუდველნი გამოჩნდნენ,—ვავალებთ წვრილ ვაჭრებს, გამოარკვიონ მათი ვინაობა და მისამართი და მთავარ კომიტეტს წარმოუდგინონ შესაფერი ზომების მისაღებად.

ამასთანავე ვავალებთ თბილისის ყველა წვრილ ვაჭრებს: ყველამ თავისი სრულწლოვანი ოჯახის წევრებით: ქალმა და კაცმა მიიღოს ბეჯითი და მედგარი მონაწილეობა ქალაქის არჩევნებში.

ახლავე მიიღონ ზომები, რომ საარჩევნო სიებში არ იყვნენ გამოტოვებულნი და თუ ამ გვარები აღმოჩნდებიან, დაუყოვნებლივ უნდა მივიდნენ თავ თავის უბნის საარჩევნო ბიუროში და ჩაეწერონ ქალი და კაცი ოცი წლის ხნოვანობიდან ყველანი.

**თბილ. წვრ. ვაჭარ. პროფ. მთავ. კომიტეტი.**

2—1353—2

---

## ახალი კლუბის საზაფხულო შენობა

ხუთშაბათს, თიბათვის 29 1917 წელს

## ქართველთ სამხედრო კავშირი

გამართავს

## საღამოს და სეირნობას

სცენაზედ—**მოხსენება, წარმოდგენა, ცოცხალი სურათები, სიმღერები და ცეკვა.**

მონაწილეობენ—მომხსენებელი ი. გედევანიშვილი (თემა—„მუდმივი ჯარი და სახალხო მილიცია“), ქართული დრამის მსახიობნი, **მ. კავსაძის ხორო,** ლეკურის საუკეთესო ასრულებელნი და სხვა. ბაღში მოწყობილი იქნება სხვა და სხვა გასართობები: პტი-შვო, ლატარეია და სხვა. დადგმული იქნება კიოსკები. ღია სცენაზედ გაიმართება დივერტისმენტი **ვასო აბაშიძის** მონაწილეობით. სეირნობის დროს დაუკრავს **სიმფონიური ორკესტრი, დუდუკი და საზანდარი.**

სეირნობის დასაწყისი საღამოს 7 საათზედ, ხოლო თვით საღამოსი 9 საათზედ. თეატრის ბილეთების ფასი 10 მ-დან 2 მ-დის. ბაღში შესასვლელი—1 მ.—50 კ., ჯარის კაცთათვის—შესვლა შეღავათიან პირობებით.

სამხატვრო ნაწილს განაგებს **შალვა დადიანი.**

საღამოს გამგე **კომისია.** 6—743—1

---

## საუკეთესო საწერი

# „მელანი“

ალიზარინის ფერისა, დავამზადე და ვყიდი ბოთლს 10 მანეთათ. 1 ბოთლიდან გამოდის 10 გირვანქა მელანი, გირვანქა ჯდება 1 მანეთი. 2 გირვანქა სიროფია მოხარშული, წმინდა წყალი დაესხმება 8 გირვანქა და დაჰანჰყარდება, მეტი არაფერია საჭირო, მელანი საწერათ მზათ იქნება.

მისამართი ადრესი ქ. თელავი კ. ონიკაშვილი.

6—741—3

---

## წიგნის გამომცემლობა „განათლება“ ქუთაისში

ამ ჟამად იბეჭდება წიგნის გამომცემლობის „განათლების“ შემდეგი გამოცემანი:

1) ქართული გრამატიკა (ვრცელი) სილ. ხუნდაძისა.
2) ქართული გრამატიკა (მოკლე) მისივე.
3) ქართული მოკლე გრამატიკა ის. ნიკოლაიშვილისა.
4) ელემენტარული გეომეტრია, შედგ. ს. ოცხელის მიერ.
5) ალგებრულ ამოცანათა კრებული, შედ. ს. შარაშენიძისა და ნ. სვანიძის მიერ.
6) არითმეტიკული კრებული გიმ. I კლ. } ალ. ჯაფარიძისა,
7) „ „ „ II „ } ს. დათეშიძისა
8) „ „ „ Ш „ } ალ. მგალობლიშვილისა.

**მზადდება გამოსაცემად:**

ქართული ანბანი შედგ. მასწავლებელ ქალთა ჯგუფის მიერ.

ქართული ენის სახელმძღვანელო გიმ. I და II კლ. } შედგ. ქუთ. ქართ. გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ.
„ „ „ „ III და IV „ }

პირველდაწყებითი ალგებრა მე-III და IV კლ. კურსი ს. ოცხელისა.

გეოგრაფია ივანოვისა I კლ. კურსი (თარგმანი)

ქართული სიმღერები, ნოტებზე გადაღებული ნ. შარაბიძის მიერ (საშუალო გამოცემა)

მიღებულია აგრეთვე სხვა და სხვა წიგნი, რომელთა გამოცემის შესახებ ცალკე განცხადება იქნება.

**მისამართი:** Кутаисъ, кгигоиздательство „Ганатлеба“.

---

ექიმი

## მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

---

ექიმი

## მ. ი. მაჩაბაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მადინსკის ქ. № 4. (ტ.—202—)

---

ექიმი

## მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ ლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

---

ექიმი ქალისა

## ე. ივ. გალაჯაშვილი-მაჟიშვილისა

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

---

ექიმთა მედიცინის

მოსე ანტიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

ყოფილი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს

**მანგლისში**

საკადეტო კორპუსის ბანაკში

---

ექიმი

## ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** პეტროვგრადის ქუჩა № 7.

---

ექიმი

## გ. მ. მეხაძე

იღებს ხელოსტაქრით ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა

**მისამართი:** დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

---

**თბილისი, თიბათვის 24.**

## ქალთა შრომა საქართველოში

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც რომელიმე კუთხე ჩვენი ქვეყნისა კულტურულათ ითვლებოდა იმდენად, რამდენადაც იმ კუთხის ქალი თავისუფალი იყო მამაკაცთან თანასწორ ფიზიკურ შრომისაგან.

დამახასიათებელ კონტრასტებათ ჩვენებურებს მოჰყავდათ გურია, სამეგრელო, ქართლ-კახეთი და იმერეთი ერთის მხრივ და რაჭა ლეჩხუმი მეორეს მხრივ.

პირველ ქვეყნებში თუ ქალებს საზოგადოდ აზრადაც არ მოუვიდოდათ მძიმე ფიზიკური შრომა, მეორეებში მათნი დანი ცისკრიდან ბინდამდი გვერდით უდგენ თავიანთ ქმრებს და ძმებს ბოსტნებსა, ვენახებსა და ყანებში.

დროთა მეფობამ ახლაც გამოიჩინა თავის ყოვლად შემძლებელობა. ამ მსოფლიო ომმა სრულიად შესცვალა თანამედროვე ეკონომიკა და გარდაქმნა ბევრში სოციალური წყობილება.

გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას, ე. ი. თავის შვილას გაჩვენებო. სწორედ ეს თქმულება ასრულდა ჩვენში, და ბრძოლის ველზე ასი ათასამდე დასამარებულ ქართველ მეომრების სამკვიდრო მამულს მათი დედები და დები არ სტოვებენ მადლიან შრომის ოფლდაუღვრელად. ფიზიკურ შრომის ასპარეზზე—ვენახებში, ბოსტნებსა და ყანებში სახლავით, თოხით და გუთნით გავიდა ყოველგან სოფლათ ქართველი ქალი, როგორც ჩვენი გაზეთების კორესპონდენტები გვატყობინებენ და ადგილებიდან მოსულნი გვეუბნებიან.

თუ კახეთში, მეტადრე ქიზიყში, ვენახები და სხვაგან, ჩვენში ყანები არ გადახმა, და რაიმე მოსავალი კი მოგვივა წელს, ეს მარტო შინ დარჩენილ მოხუც მამაკაცების ამაგი კი არ არის, არამედ მათი ქალების წყალობაცაა.

ამას დაუხსომებს ჩვენს სოფლის ქალებს მათგან დავალებული სოფელი.

ჩვენ კი, რომელთაც თავი მოგვაქვს მათ იდეურ წინამძღოლებად, გვმართებს ეხლავე გავითვალისწინოთ მომავალი და პრაქტიკული ღონისძიებანი მივიღოთ, რომ დღეს ფიზიკურ შრომის ასპარეზზე გამოსული სოფლის ქალი არა თუ თვითონ, არამედ მისი შემდეგი დღმანიც შერჩენ ამ ასპარეზს, რომ მით ჩვენი საერო დოვლათი ერთიორად გამრავლდეს, თუ გვინდა ჩვენ შეგვრჩეს ჩვენი ქვეყანა და ჩვენს ქვეყანას ჩვენ შევრჩეთ ზედ ნამდვილ მფლობელად.

ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ, ქართველები, ცოტანი ვართ და ამ ცოტაში ნახევარზე მეტი ქალებია. მათი შენარჩუნებისათვის ფიზიკური შრომის ასპარეზზე საჭიროა თვით ამ შრომის მოწყობა ისე, რომ იგი იქმნეს რაც შეიძლება შემსუბუქებული ტეხნიკურად, რომ მშრომელს შრომის ღონე სამარის კარამდე შერჩეს.

იმედი გვაქვს დაწვრილებით ამას სხვა ადგილს და ახლო მომავალში გამოარკვევენ ჩვენი საზოგადოებრივი წრეები, მას შემდეგ კი ავტონომიური მთავრობა. ხოლო დღევანდელ დღეს საჭიროა ამ საქმისთვის—გაიგზავნოს სოფელში სამეურნეო მაშინები და ხელსაწყოები, ინსტრუქტორები და ქალაქებიდან განათლებული ქალები, ქალთა სამეურნეო წრეების და საზოგადოებათა შესადგენათ. საჭიროა დაარსდეს სოფლად პრაქტიკული სკოლაბაღები, სკოლა-ზვრები, სკოლა-ყანები და სხვ. დაფუძნებულ უნდა ქალთა მწარმოებელი და საკრედიტო საზოგადოებანი.

# ფინეთი ხიფათშია

დეპეშამ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი მოიტანა.

პეტროგრადში მ. და ს. დელეგატთა საბჭოში ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა, როგორც საბჭოს წევრმა, სიტყვა წარმოსთქვა შესახებ რუსეთის ფინანსებისა ფინეთში, მან სთქვა, რომ რუსეთის ხაზინა ვეღარ ახურდავებს რუსულ ფულს ფინურ ფულზე, რომელიც მას ძალიან ესაჭიროება ფინეთში დაბანაკებულ ჯარისა და მოხელეთათვის ჯამაგირის დასაგირებლად და საომო მასალის სასყიდლად. რუსეთს სჭირია 700 მილიონი ფინური მარკა, ეს ფული ფინეთის ხაზინამ უნდა ასესხოს რუსეთს. თუ ფინეთის სეიმმა ეს სესხი არ დაადასტურა, „შეიქმნება ყოვლად აუტანელი მდგომარეობა“. მუშათა და სალდათთა საბჭომ ამ მოხსენების გამო დელეგატებად აირჩია ავქსენტიევი და გეგეჭკორი, რომელთაც მოლაპარაკება უნდა გამართონ ფინეთის სოც. დემოკრატებთან და სთხოვონ დახმარება.

მეორე დეპეშა იუწყება, რომ ფინეთის სეიმში სენატორმა ტამმერმა განაცხადა: რუსეთს თუ ფული არ მივეცით, ფინეთს დიდი ხიფათი მოელისო.

ამ ორ დეპეშას უნდა დავუპირდაპიროთ სურათი რუსეთ-ფინეთის დღევანდელ ურთიერთობისა. ფინეთი სავსეა რუსის სალდათებით, მათი ყოფაქცევა ფინეთშიაც ისეთივეა, როგორც მთელ რუსეთში და ჩვენში. ფინეთის დედაქალაქში დაბანაკებულ სალდათთა და მეზღვაურთა საბჭოები წამდაუწუმ ერევიან ფინეთის შინაურ საქმეებსა და მის კანონმდებლობასაც ეპოტინებიან, რაიც ფინელთა შორის აღშფოთებას და მღელვარებას იწვევს.

ეხლა შეიძლება ფარდა ავხადოთ წერეთლის სიტყვას.

რუსის ჯარი, მოხელე და ვაჭარი უცხო ქვეყანაში — „დამოუკიდებელ“ სპარსეთში რუსული ფულით სცხოვრობს და ვაჭრობს, ხოლო „თავისი“ ქვეყანაში—ფინეთში მას თავისი ფული ბაზარზე ვერ გაუტანია და საქონელზე ვერ დაუხურდავებია. მოკლედ მოგახსენებთ: ფინები რუსულ მანეთს ან აღარ იღებენ, ან ამ მანეთს ორ-სამ შაურად აფასებენ.

ეს დასაწყისია დასასრულისა—რუსეთის ფინანსიურ გაკოტრებისა.

უცხოეთში ეს გაკოტრება უცილობელი ფაქტია. არც საფრანგეთი, არც ინგლისი და არც ამერიკა, რომელიც ოქროში იხრჩობა, თავიანთ მოკავშირე რუსეთს გროშსაც აღარ აძლევენ. იმათ რომ რუსეთის შველა უნდოდეთ, რამდენიმე მილიონ ოქროს შეიტანდნენ ფინეთის ხაზინაში და ამით რუსულ მანეთის ფასს რამდენჯერმე ასწევდნენ, ე. ი. ფაქტიურად რუსულ მანეთს ფინურ მარკაზე თვითონ დაახურდავებდნენ.

წყალ-წაღებული რუსული ქაღალდის მანეთი წერეთელ-გეგეჭკორის ხელებით ფინურ ვერცხლის მარკას ეჭიდება და მას ითრევს გაკოტრების მორევში. მაგრამ მარკა მანეთს ვეღარ უშველის. ორივეს წყალი წაიღებს.

ამ საქმეში კიდევ ერთი რამ არის საინტერესო.

გეგეჭკორი რუსეთის სოც.-დემოკრატიის სახელით პირისპირ დაუდგება ფინეთის სოც.-დემოკრატიის ბელადსა და სეიმის თავმჯდომარეს ტოკოის. ეს შეხვედრა ისტორიული სურათი იქნება.

რას ეტყვიან ერთმანეთს?

გეგეჭკორი „სესხად“ მოსთხოვს ფინეთს რუსეთისთვის 700 მილიონს.

ტოკოი ალბად უპასუხებს: ფინეთი სრულს დამოუკიდებლობას თხოულობს რუსეთისგანაო.

შეიძლება თამამი გეგეჭკორი და გულცივი ტოკოი მორიგდნენ, მაგრამ შეიძლება ვერც მორიგდნენ. რუსეთის მინისტრი წერეთელი აფრთხილებს რუსეთს: ფინებმა თუ 700 მილიონი არ მოგვცეს, „აუტანელი მდგომარეობა შეიქმნებაო“, ხოლო ფინელი სენატორი ტამმერი აფრთხილებს ფინეთს: თუ რუსეთს ეს ფული არ მივეცით, ფინეთს დიდი ხიფათი მოელისო.

ორივენი ფრთხილი დიპლომატები არიან. არც ერთი არ ამბობს პირდაპირ და გულახდილად—საიდან და რა ხიფათი მოელის პატარა ფინეთს.

ცხადია მხოლოდ ერთი რამ: მრავალტანჯულ ფინეთს საიდგანღაც უხეში მუქარა დასტრიალებს და უხილავი „ვინმე“ ბლვერით აშინებს ერთპირსა, ერთგულსა და ერთ მუჭა ხალხს.

შ. ადამაშვილი.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 22. **დასავლეთის ფრონტი.** ბრჟეჟანის აღმოსავლეთით მტერმა ჩვენ მოდარაჯეთ მძლავრად შემოუტია, მაგრამ ზარბაზნის სროლით უკუვაქციეთ. ლიპიცა დოლნოის აღმოსავლეთით, საარტილერიო მომზადების შემდეგ, მტერმა ორჯელ შემოგვიტია, მაგრამ ორჯელვე უკუვაქციეთ.

**რუმინეთის ფრონტი.** სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** ჩვენგან პენდჟვინის დაჭერის შემდგომ მტერმა პენდჟვინის დასავლეთითა და სამხრეთით სიმაღლეებზე ლა მოიმაგრა ფეხი. დანარჩენი ფრონტი უცვლელადაა.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიჟი.** თიბათვის 19. (დაგვიანებულია). **ოფიციალი.** სერნის აღმოსავლეთით და კალიფორნის ზეგანზე ორთავე მხრის არტილერია მოქმედებდა. დანარჩენი ფრონტი უცვლელადაა.

**ახლო აღმოსავლეთი.** სტრუმის ფრონტზე—პატრულების შეტაკებაა. ტბა დოირანის რაიონში მტერმა არტილერიის მოქმედება გააძლიერა.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** თიბათვის 19. **ოფიციალი.** ღამე მტერს მოულოდნელად დაეცით. შესამჩნევი ზარალი მივაყენეთ. წამოვიყვანეთ 7 ტყვე. ლოოსის აღმოსავლეთით ჩვენს სანგრებზე მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ მაშინვე მოვიგერიეთ.

**ბელგიის ბანაკის ცნობა**

**ჰავრი.** თიბათვის 19. **ოფიციალი.** ჰეტზასის სამხრეთით მტერმა ჩვენს სანგრებზე იერიშის მოტანა სცადა, მაგრამ ამაოდ. დიქსმიუდის, სტეენსტრადეს და ჰეტზასის რაიონებში საარტილერიო ბრძოლაა.

**იტალიის ბანაკის ცნობა**

**რომი.** თიბათვის 19. **ოფიციალი.** ტბა გაარდას მახლობლად, ლედროს ველეში მტერი ენერგიულად მოქმედობდა. სან-დჟუვან-ბიაცცის მიდამოებში მტერმა ჩვენს მოწინავეებს შემოუტია, მაგრამ დიდის ზარალით შევაფერხეთ მათი შემოტევა. ამასთან მალგად-ლჟულიას და მეცოლაგოს ახლო მდგომარე ჩვენ ჯარს მტერი არ ასვენებდა. რამდენჯერმე შეტევა სცადეს. ტბა გარდას და ადიჟეს რაიონებში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. მახლობელ მთაზე მტრის ნაღმის აფეთქებამ ჩვენ ზარალი მოგვიტანა.

**რომი.** თიბათვის 19. **ალბანეთის ფრონტი.** პალარეტაში ერთ ჩვენ შეიარაღებულმა რაზმმა მტრის ასპარეზი დაიჭირა და ავსტრიელების რამდენიმე ტყვე ჩაიგდო ხელში, რამაც მტერს თავზარი დასცა.

**ჰინდენბურგის იმედიანობა.**

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 20. ვოლფის სააგენტო იტყობინება ჰინდენბურგის შეხედულებას დღევანდელ მომენტის შესახებ: ომს უეჭველად მოვიგებთ, თუ შევძლებთ სასტიკი წინააღმდეგობა გავუწიოთ მტრის იერიშებს სანამდე წყალქვეშათა თარეში გათავდება. მტერს არა აქვს გათვალისწინებული ჩვენი ძალა. ავსტრო-გერმანელები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ და სულ ახლო მომავალში მტერი ზავს მოგვთხოვს.

**გემის დაღუპვა.**

**კოპენჰაგენი.** თიბათვის 20. ჩრდილოეთ ზღვაში, გერმანელთა წყალქვეშამ დანიელთა გემი „ბოფი“ ჩასძირა. მგზავრები გადარჩნენ.

**ბალტიის ზღვა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 22. თიბათვის 20 კუნძულ ეზელის სამხრეთ ნაწილის მტრის 9 მფრინავი დაესხა თავს. ჩამოაგდეს 24 ყუმბარა. გემების და სამხედრო ბატარეების ცეცხლმა მფრინავები უკან გააბრუნა. დანაკლისი არ არის.

**რუსეთის წარმომადგენლები სტოკჰოლმის კონფერენციაზე.**

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 20. მოვიდნენ კონფერენციაზე დასასწრებლად პეტროგრადის მ. და ჯ. კ-თა დეპ. აღმასრულებელ კომიტეტის წევრები. სადგურზე მათ შეეგებნენ გერმანელთა დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების პარტიის წარმომადგენლები—კაუცკი, ჰააზე და კონი. მათ ახლად მოსულნი სალაპარაკოდ მიიწვიეს.

# რუსის ჯარის შეტევა

**რუსის ჯარი შეტევას განაგრძობს**

**პეტროგრადი.** თიბათვის 19 (დაგვიანებულია) დროებით მთავრობამ ცნობა მიიღო, რომ სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე შეტევა კვლავ მედგრად სწარმოებსო.

**მომქმედი ჯარი.** თიბათვის 19. „არმეისკი ვესტნიკ“-ის სასწრაფოდ დაბეჭდილი ნომერი იტყობინება: თიბათვის 18 ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. საარტილერიო სამზადისი სამი დღე და ღამე სწარმოებდა. მტრის პოზიციები ჩვენი ყუმბარების ცეცხლში იყო გახვეული. მტრის არტილერია სუსტად გვიპასუხებდა. მეტის მეტი სროლის შემდეგ ჩვენებმა შეტევა დაიწყეს. ერთის შეტევით მტრის სიმაგრეები ჩავიგდეთ ხელში, მივადექით ზოგან მეოთხე წყების თხრილებსაც და მნიშვნელოვანი სიმაღლეები ჩავიგდეთ ხელში. რამდენიმე საათის შეტევის შემდეგ ჩვენ უკვე 5.000 ტყვე ჩავიგდეთ ხელში, მათში კომანდირი, ოფიცრები და ავსტრიის მე-81 პოლკის ყველა ჯარის კაცნი. ტყვეების ჩვენებით მათი თხრილები მთლად მიწასთანაა გასწორებული. ჩვენი ზარალი საგრძნობი არაა. ჩვენი არტილერიის მოქმედებით ყველა აღფრთოვანებულია.

**გერმანელებს ჯარი მოჰყავთ საფრანგეთიდან.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 21. კოვე-ლის მიმართულებით საარტილერიო დუელი სწარმოებს. მტერი დიდ ყურადღებას აქცევს რაიონის სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვან პუნქტებს. ლვოვის დაჭერას სტრატეგიულად ნაკლები მნიშვნელობა ექმნებოდა, ვიდრე კოველის და ზბოროვ-კონიუხის ასპარეზის ხელში ჩაგდებას. გოროდოკპომორიანის მიმართულებით საერთო წინ წაწევა 4—5 ვერსს უდრის. ჩვენ ფრონტებზე მტრის ჯარის გადმოსხმა უფრო მეტის სისწრაფით სწარმოებს. გერმანელებს ჯარი არრასის რაიონიდან გადმოჰყავთ, თანაც სცდილობენ, რომ შამპანის ფრონტზე ჯარი არ შეუმცირდეთ.

**ჯარისკაცთა კომიტეტების წარმომადგენელნი ბრძოლაში მონაწილეობენ.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 21. სამხედრო მინისტრი სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების ყრილობის სექციას დეპეშით ატყობინებს, რომ სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე ჯარისკაცთა კომიტეტების წარმომადგენლები ბრძოლის ოპერაციებში დიდს მონაწილეობას იღებენ.

**მთავრობის მოწოდება**

**პეტროგრადი.** თიბათვის 19. (დაგვიანებულია) დროებით მთავრობამ შეტევის დაწყობ ჯარს მოწოდებით მიჰმართა. მოწოდება მოქალაქეთაც ჯართან კავშირის დასაჭერად მოუწოდებს. დაე, ნათქვამია მოწოდებაში, სამშობლოს სახსნელად მიმავალ რუსის ჯარმა იცოდეს, რომ მას მხარს უჭერს რუსის მთელი ერიო.

**„დეილი ტელეგრაფ“-ის აზრი**

**ლონდონი.** თიბათვის 20. „დეილი ტელეგრაფ“-ი რუსის ჯარის შეტევაზე სწერს: ნათელია, რომ რუსის ჯარის შეტევა—ეს საერთო შეტევაა, მას დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები აქვს სახეში. ეს ბრძოლა დაამტკიცებს, რომ შინაური საქმეთა პოლიტიკა სამხედრო საჭიროებათ უნდა ემორჩილებოდეს. დისციპლინა, ერთსულობა და წინამძღვართა ნდობა —აი, მეტად საჭირო მოთხოვნილებანი დღევანდელ ჯარისგან. თუ რუსის ჯარი შეტევის სასურველად გაგრძელებას შესძლებს, ამას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება, რადგან მაშინ მოკავშირეებიც საფრანგეთის ფრონტზე მტერს წინააღმდეგობას უფრო მხნედ გაუწევენო.

**მანიფესტაციები.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 21. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე ჩვენი ჯარის გამარჯვების გამო პეტროგრადის ჯარის ნაწილებში თიბათვის 21 გრანდიოზული მანიფესტაციები გაიმართა. მანიფესტაცია სასახლის მოედნიდან დაიწყო, გამოიარა ნევისა და ლიტეინის პროსპექტები, „ფრანცუზკაია ნაბერეჟნაია“, გაუარა საფრანგეთის, იაპონიის და ინგლისის საელჩოებს და მარსის მინდორზე. შეჩერდა აქ, საძმო სასაფლაოსთან, ორატორებმა სიტყვები წარმოსთქვეს, ხალხმა დიდი ოვაციები გაუმართა მოხალისე ქალთა ბატალიონს, დონის ყაზახის მე-9-ე და სათადარიგო კოვალერიის მე-9-ე პოლკებს. მანიფესტანტებს დროშები და პლაკატები კერენსკის სურათით ჰქონდათ შემკულნი. ბოლშევიკებმა ... აგზნებული დამსწრეთ ... ბრბო მათაც ემუქრებოდა.

უწყალოდ სცემეს დაჭრილ ჯარისკაცს—მოგზოვიჩს. სახელმწიფო ბანკთან პატრულები დაუყენეს. ქალაქში ხმები გავარდა ჯარისკაცები კონფისკაციას აპირობენო. ღამით მოხდა სასწრაფო სხდომა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებისა და სახელმწიფო ბანკს პატრულები მოხსნეს. გამოაკრეს დიდი მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ აუცილებლივ საჭიროა თავისუფლების სესხი და რომ ბნელი ძალები იწვევიან აგიტაციას ჯარისკაცთა და ძმობის წასახრზებლადო.

## მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა

**გაზეთებიდან**

**რომელ პარტიას რამდენი წარმომადგენელი ჰყავდა ყრილობაზე**

ყრილობაზე სამანდატო კომისიამ ჯერ მხოლოდ სქემატიურად შემდგარი ზოგიერთა რიცხვები გამოაქვეყნა.

ყრილობას დასწრობია 1090 კაცი, მათგან 822 გადამწყვეტ ხმისა და 268 სათათბირო ხმის უფლებით.

ამ ანკეტის საპასუხოდ თავიანთ პარტიულობაზე ცნობები მისცეს 777 კაცმა, მათში სოციალისტ-რევოლიუციონერი—285, ს. დ. მენშევიკები 248, ს. დ. ბოლშევიკები 105, ინტერნაციონალისტები 32, ფრაქციის გარეშე სოციალისტები 73, გაერთიანებულ ს. დ. 10, ბუნდისტები 10, „ედინსტვო“ პარტიისა (პლეხანოვის პლატფორმა) 3, სახალხო-სოციალისტები 3, ტრუდოვიკები 5, პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების პლატფორმაზე მდგომთაგან 2, ანარქისტ-კომმუნისტებთაგან 1, სოციალისტ-რევოლიუციონერთა თანამგრძნობთაგანი 20, მენშევიკების თანამგრძნობნი 8, დამოუკიდებელთაგან 17.

სამანდატო კომისიის აზრით, ყრილობაზე სრულიად რუსეთის დემოკრატიის ყველა მხრიდან არიან წარმომადგენილნი მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოთაგან 305, მათში ღლებთა გაერთიანებულ ორგანიზაციებიდან 53, სარაიონო და საოლქო საბჭოთაგან 21, მოქმედ ჯარისგან 8, ფლოტისა და ზურგის დაწესებულებათაგან.

# რევოლუცია

## დეპეშები

**საპედაგოგიო საბჭოთა სრული თავისუფლება**

**პეტროგრადი.** თიბათვის 17. (დაგვიანებულია). სახალხო განათლების მინისტრმა შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც საპედაგოგიო საბჭოების სახელმძღვანელო წიგნების ამორჩევაში სრული თავისუფლება ეძლევათ.

**ორი ბოლშევიკი—პროვოკატორები**

**რიგა.** თიბათვის 17. შეიპყრეს 2 პროვოკატორი: ნეიმანი და ლიზა ასპერი. ორთავენი ბოლშევიკების პარტიისანი არიან და დეპუტატთა საბჭოს წევრებად ითვლებოდნენ.

**დეზერტირებისთვის დროებითი სასამართლო**

**რიგა.** თიბათვის 17. ჯარის უფროსმა რიგაში, ვენდენში და ვალკში დეზერტირებისა და სამხედრო სამსახურში დამნაშავეთა გასასამართლებლად დროებით სასამართლოს მოწყობა ბრძანა.

**თავისუფლების სესხი**

**კალუგა.** თიბათვის 16. მთელს გუბერნიის თავისუფლების სესხმა 4,900.000 მანეთს მიაღწია.

**სიკვდილის ბატალიონი**

**სამარა.** თიბათვის 15. შეადგინეს სიკვდილის ბატალიონი, რომელიც ამ დღეებში საბრძოლველად წავა.

**ფარმაცევტთა ყრილობა**

**პეტროგრადი.** თიბათვის 15. განზრახულია სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა ყრილობა.

**დამფუძნებელ კრების სიების გამოცხადება**

**პეტროგრადი.** თიბათვის 17. (დაგვიანებულია). დამფუძნებელ კრების მომწვევ საგანგებო საბჭომ დაადგინა, რომ შესწორებული საარჩევნო სიები არჩევნების 10 დღით წინ სახალხოდ იქმნება გამოცხადებულიო.

**რუსეთის სესხი ფინეთში**

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 17. სეიმმა იმსჯელა რუსეთის სესხის (350 მილიონი მარკა) გამოშვების შესახებ. საფინანსო უწყების სენატორმა ტანერმა განმარტა, რომ ფული უსაცილოდ უნდა მიეცეს რუსეთს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი საფრთხე მოგველის, ვიდრე აქნობამდე განცდილი სასტიკი წამები. დასასრულ კანონპროექტი საფინანსო კომისიას გადაეცემა.

**სადეპუტატოების ცენტრალ ორგანოს დაარსება**

**პეტროგრადი.** თიბათვის 17. (დაგვიანებულია). სადეპუტატებო ყრილობამ მ. და ჯ.-კ. სადეპუტატოების ცენტრალ ორგანოდ სრულიად რუსეთის ცენტრალი აღმასრულებელი კომიტეტები დაადგინა.

**სახალხო სოც. პარტიის პირველი ყრილობა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 17. დაიწყო სრულიად რუსეთის სახალხო სოციალისტების პარტიის პირველი ყრილობა. ყრილობას რუსეთის სხვა და სხვა ადგილებიდან ასამდე წარმომადგენელი დაესწრო.

**სურსათის რეკვიზიციის უფლება.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 17. (დაგვიანებულია). გზათა მინისტრი ადგენს კანონპროექტს, რომლის ძალითაც რკინის გზის მმართველ უფროსებს რკინის გზაზე დროზე მოუკითხავ სურსათის რეკვიზიციის უფლება ეძლევათ.

**ხორბალი**

**პეტროგრადი.** თიბათვის 17. (დაგვიანებულია). საერთო-სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებით მთლად ის ხორბალი, რაც სახელმწიფოს განკარგულებაშია სასურსათო ორგანოების შეკვეთით, მხოლოდ ფქვილადა და ბურღულად უნდა აქციონ.

**საქონლის რეკვიზიციის უშედეგობა**

**მინსკი.** თიბათვის 22. გუბერნიაში დაწყობილმა რეკვიზიციამ უშედეგოდ ჩაიარა. გლეხები უარს ეუბნებიან საქონლის მიცემაზე. ბევრი ტყეებში ჰმალავს საქონელს.

**ბოლშევიკების წინააღმდეგ**

**კიევი.** თიბათვის 19. გუშინდელ მრავალრიცხოვან მანიფესტაციაზე ბოლშევიკებს მტრულად შეხვდნენ. მათმა გამოსვლამ სტვენა გამოიწვია. ჰაერში ირეოდა ჯოხი და ქოლგები. ისმოდა ძახილი: ძირს ლენინი და მისი თანამოაზრენიო!

## მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა

**წერეთლის სიტყვა**

**პეტროგრადი.** თიბათვის 17. გუშინდელი სხდომა წერეთლის რიგის გარეშე განცხადებით დაიწყო. მან ილაპარაკა, როგორც ყრილობის წევრმა და არა როგორც მთავრობის წარმომადგენელმა. იგი შეეხო რუსეთის ფინანსების მდგომარეობას ფინეთში. წერეთელმა განაცხადა, რომ მთავრობას რუსის ფულის ფინეთის ვალიუტაზე დახურდავების საშუალება დღეს მოსპობილი აქვსო. ჩვენ კი ფინეთში მყოფ ჯარს ფული უნდა ვაძლიოთ, ფინეთში მცხოვრებნი რუსის მოქალაქენი ვალიუტით უნდა დავაკმაყოფილოთ და შემოკვეთილი ფული გავუგზავნოთ. ფინეთის ვალიუტის მისაღებად ერთად-ერთი საშუალება მხოლოდ სესხია. წლის დამლევამდის ხაზინას ესაჭიროება არა ნაკლებ 700 მილიონ მარკისა. დროებით მთავრობამ ფინეთის სეიმს ენკენისთვის დამლევამდის 350 მილიონი სთხოვა. სეიმმა ეს თხოვნა არ შეიწყნარა. სესხის საკითხის გადაწყვეტამდე სენატმა 50 მილიონი მარკა ასესხა, მაგრამ ეს ფული უკვე ილევა და, თუ სეიმმა სესხის საკითხი არ გადასწყვიტა, მაშინ ფინეთში მყოფ მოქალაქეთ და ჯარისკაცებს სახელმწიფო ფულს ვეღარ მიაწვდის და ეს კი საქმეს მეტად გართულებს. წერეთელს იმედი აქვს, რომ სეიმი, სადაც უმეტესად სოციალისტურ პარტიების წევრები არიან, სესხზე უარს არ ეტყვიან რუსის მთავრობას. წერეთლის აზრით, რუსეთის დემოკრატია მეტად დაინტერესებულია მოსალოდნელ კატასტროფის აცილებაში. ამისათვის მას სწორე გზა აქვს. ეს გზა სესხის საკითხის გადასაწყვეტად ფინეთის სოციალისტურ პარტიების ძმი მიმართვაა. წერეთელს ჰგონია, რომ ამ საკითხზე მოძმე პარტიებისადმი მიმართვა საქმეს დააშურებს. ამიტომ მისი წინადადებით ამოირჩიეს დელეგაცია, რომელსაც ფინეთის სოციალდემოკრატიულ პარტიებთან კავშირის დაჭერა დაევალა. დელეგაციაში არიან ავქსენტიევი და გეგეჭკორი.

# არეულობა როსტოვში

**დონის-როსტოვი.** თიბათვის 20 გუშინ დაიწყო „სესხის დღე“. დღესასწაულმა ვოლინის პოლკის ორკესტრის მონაწილეობით კარგად ჩაიარა. მხოლოდ დღეს დილით, მეციხოვნეთა დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა მონაწილეობის მიღებაში და დღესასწაულს ბურჟუაზიული, ბალაგნურცირკის ხასიათის ოინი უწოდა, რადგანაც სხვა პლაკატების შორის ღლომჩნდა ერთი დროშა, რომელზედაც ეწერა—ომი გამარჯვებამდისო. ბოლშევიკებმა გამართეს საწინააღმდეგო აგიტაცია და დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ ეს ოინია მილიტარისტულად განწყობილ ბურჟუაზიისაო. საღამოთი მეციხოვნეთა ჯარის ნაწილი იარაღით დარაზმული გამოვიდა გარეთ, შესწყვიტა დღესასწაული, კონცერტი, მიტინგი, დაშალა პროცესიები, გაანადგურა სახელმწიფო ბანკთან თაღი, დახია გამოკრული პლაკატები და სხ. ხოლო ის პირნიც, რომელნიც მათ ამხილებდნენ ამგვარ საქციელის ჩადენისთვის —დატუსაღებულ იქმნენ. ამაო იყო

# ეროვნული საკითხი

**უკრაინა.**

**კიევი.** თიბათვის 19. უკრაინელთა საგუბერნიო ყრილობამ დაადგინა, რომ დროებით მთავრობის ყველა განკარგულება განსახორციელებლად უკრაინელთა ცენტრალ რადას უნდა მოუვიდეს. ყველა დაწესებულებას მთავრობასთან საქმე ექნება მხოლოდ ცენტრალ რადის საშუალებით. გამოტანილია რეზოლუციები სამწად-მოქმედო და სასურსათო საკითხის შესახებ, აგრეთვე დაწესებულებათა უკრაინიზაციის შესახებ.

დადგენილია: წაკითხულ იქმნას უნივერსალი ყველა საყდარში.

# რუსეთი და უცხოეთი

**საგანგებო კურსები დროებით ექიმთათვის.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 18. ექიმ ქალების სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო სახალხო განათლების მინისტრმა საექიმო ფაკულტეტებს 1917 წელში გაწვეულ მე 2 ხარისხის დროებით ექიმებისთვის საგანგებო კურსების მოწყობა დაავალა. ასეთივე კურსების მოწყობა დაევალა იურიევის უნივერსიტეტს 1914 წელში გაწვეულებისათვის. ზემოხსენებულ კურსებში სწავლა მიღებულნი ექიმის დიპლომს მიიღებენ.

**კონსტანტინე სენტ მორიცში.**

**ბერნი.** თიბათვის 18. მეფედ ნამყოფი კონსტანტინე ოჯახით და თანამხლებლებით სენტ მორიცში ჩამოვიდა.

**ხულიგნები.**

**მოსკოვი.** თიბათვის 17. (დაგვიანებულია) ორმა დეზერტირმა, ზაგორონიმ და იურიევმა ყალბ მოწმობების ძალით და მილიციონერთა შეწყობით შეიპყრეს ამერიკელი კონსული გარტმანი. მას ჯაშუშობა დასწამეს და 5000 მანეთისა და სხვა მოწმობების წართმევის შემდეგ სატუსაღოში გაისტუმრეს. დილით ისინი გარტმანის სატეხნიკო კანტორაში გამოცხადდნენ გასარჩევად, მაგრამ აქ ისინი მილიციამ შეიპყრო. ხალხმა დამნაშავენი თვით

# გაზეთის შინაარსი

## საგულისხმო ცნობები

იმერეთის სამღვდელოების პროტესტი მთავარ-ანგელოზის ეკლესიის ამბების გამო.

რუსეთში „მეშჩანები" მიწას მოითხოვენ.

ნიჟნი ნოვგოროდში სორმოვოს ქარხნებში გაფიცვაა.

როსტოვში „ბოლშევიკების" მეთაურობით არეულობაა.

ესპანეთში პოლიტიკური კრიზისია.

საფრანგეთის და რუსეთის ფრონტზე გერმანელებს იერიშები მოაქვთ.

გერმანელებს საფრანგეთის ფრონტიდან რუსეთის ფრონტზე ჯარი გადმოჰყავთ.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების დეპუტატები სტოკჰოლმში ჩავიდნენ. მათ გერმანელები, კაუტსკი და ჰააზე მიეგებნენ.

ავსტრიის იმპერატორმა ამნისტია გამოაცხადა.

## წერილები

**მეთაური.** ქალთა შრომა საქართველოში.

**მ. ადამაშვილი.** ფინეთი საფრთხეშია.

დარიგება საქალაქო არჩევნებისათვის.

გლეხთა ყრილობის ანგარიში.

---

დასაჯა. ნაცემი დამნაშავენი საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

**ამერიკელ გემებს ესპანეთში მისვლა აეკრძალათ.**

**მადრიდი.** თიბათვის 17 (დაგვიანებულია). მეფის ახალი დეკრეტით ამიერიდან ყველა მებრძოლ სახელმწიფოთა სუმმარინებს აეკრძალათ ესპანეთის წყლებში სიარული და ესპანეთის ნავთსადგურებში შესვლა.

**სარწმუნოების დამცინავ სურათების აღკრძალვა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 17 (დაგვიანებულია). შინაგან საქმეთა მინისტრმა მისწერა კომისრებს—ამიერიდან სინემაში აღიკრძალოს ისეთი სიუჟეტების დადგმა, რომელშიაც დასცინიან სარწმუნოებას და კერძოდ კი სასულიერო წოდებას. დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან.

## „საქართველოს" დეპეშა

**მთავარ-ანგელოზის ეკლესიის ამბების გამო**

**ქუთაისი.** თიბათვის 22. იმერეთის სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტი პროტესტს აცხადებს ეპისკოპოს გრიგოლის მიერ ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის ქართველ მღვდლის გადაყენების გამო. ეს მოვლენა საშიშოა, რადგან მას თავისუფალ რუსეთის ცხოვრების შესარცხვენად რუსებსა და ქართველებს შორის შეუძლიან შეტაკება გამოიწვიოს. ამიტომ იმერეთის სამღვდელოების კომიტეტი სთხოვს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს ძლიერი საშუალებანი იღონოს დათრგუნვილ სიმართლის აღსადგენად და ეკლესიის ისეთ მეთაურთა ასალაგმავად, და ამით დააშვიდოს მორწმუნე ქართველთა დამცირებული სარწმუნოებრივი გრძნობა. იმერეთის სამღვდელოების აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე არქიმანდრიტი ნესტორი.

# ქრონიკა

## თბილისი.

**გაფიცვის მქადაგებელნი.** თიბათვის 22-ს, ღამით, ვიღაც უცნობი პირნი (ქალები და ვაჟები) კლუბებში დადიოდნენ და მოსამსახურეებს გაფიცვისათვის აქეზებდნენ. ზოგიერთი გამოუცდელი მოსამსახურენი შეშინდნენ, გაფიცვაზე თანხმობა გამოუცხადეს და რაღაც ქაღალდზე ხელი მოუწერეს, ხოლო ზოგიერთი კლუბებიდან მოქადაქენი გამოაძევეს მოსამსახურეებმა, რადგან კარგად იციან, რომ გაფიცვის მოხდენა მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს საქმეა, და არა კერძო პირთა.

**სურსათი.** თიბათვის 23-ს, სასურსათო კომიტეტის სახელობაზე მოვიდა: ქალაქის მცხოვრებთათვის 19 ვაგონი ფქვილი და 6 ვაგონი ხორბალი, ხოლო სომეხთა გადმოხვეწილებისათვის 2 ვაგონი ფქვილი და 2 ვაგ. ხორბალი.

**ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი, „საუბარი ხოლერაზე და მისგან დამცველ ზომებზე" ექ. პაპოვისა, თარგმანი გაიანე ლომაურისა, პრივ.-დოცენტ ე. ლამბარაშვილის რედაქტორობით გამოცემა მოსკოვის ქართულ სამეცნიერო საზოგადოების სამკურნალო სექციისა.

**ქალაქის სახურსათო კომიტეტი.** თიბათვის 22-ს კომიტეტის სახელობაზე მოვიდა; ქალაქის მცხოვრებთათვის 7 ვაგ. ფქვილი, სომეხთა ლტოლვილთათვის 1 ვაგ. ფქვილი და 1 ვაგ. ხორბალი. კომიტეტის სანიხრო კომისიამ თიბათვის 21-ს, სხვათა შორის, ნიხრი დააწესა ნავთზე. დიდ საწყობში ფუთი ნავთი ეღირება 3 მ. 45 კაპ., პატარა საწყობებში 3 მან. 80 კაპ, ხოლო სახლებში მიტანილი ფუთი 4 მან. გირვანქა 10 კაპ.

**ჯარის კაცთა ოჯახების ხარჯი.** ჯარის კაცთა ოჯახებზე მზრუნავმა თბილისის ქალ. კომიტეტმა განკარგულება მოახდინა, რომ ზოგიერთ ოჯახებს უკანვე გამოართვას კომიტეტის მიერ მიცემული ზედ მეტი ფული. ზოგიერთ ოჯახებს, როგორც აღნიშნულ კომიტეტს ჰგონია, ზედ მეტი წაუღია 400—500 მანეთი. ამ ფულის გადახდევინებას უკვე შეუდგნენ. ჯარის კაცთა ოჯახების ბიურომ შუამდგომლობით მიმართა მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს და დახმარება სთხოვა. საბჭომ განიხილა ეს საკითხი და იმ აზრს დაადგა, რომ ამ ფულის გადახდით მიწასთან გასწორდებიან ისედაც გაძვალტყავებული ოჯახები და დაადგინა მისწეროს მილიციის უფროსს მოახდინოს განკარგულება, რომ ფულის გადახდევინება შეჩერებულ იქმნას.

## კავკასია

**ჯარისკაცების განსაკუთრებული უფლება.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა დაადგინა, რომ ჯარისკაცებს, მიუხედავად მათი წლოვანების (20 წლისაც რომ არ იყვნენ), უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობისა.

**მუსულმანთა თათბირი.** თიბათვის 26-ს მუსულმანთა კომიტეტების წარმომადგენელთ თავიანთ ეროვნების საჭიროების გამო თათბირი ექნებათ ამიერ კავკასიის კომისარიატთან.

**სახალხო სკოლების ყოფილი ინსპექტორი ტერ-გასპარიანცი.** როგორც გავიგეთ ცნობილი სახალხო სკოლების ყოფილი ინსპექტორი ტერ-გასპარიანცი, რომელმაც თავი ისახელა მასწავლებლების დევნით და რუსიციზმის პოლიტიკით ჩვენ სკოლებში, ამ ჟამად ქ. ენზელში (სპარსეთში). ყოფილა; იქ თურმე ის სხვა გვარს ატარებს; როგორც ვიცით მან სახაზინო ფული გაფლანგა, რის გამოც სამსახურიდან დაითხოვეს და პასუხის გებაშიაც მისცეს. საჭიროა ამ გარემოებას ვისგანაც ჯერ არს მიექცეს ყურადღება.

**უწესოების მოლოდინი ერევნის გუბერნიებში.** ამიერ კავკასიის კომისარიატის განკარგულებით ერევანს იგზავნება ცხენოსანი ჯარი. როგორც ამბობენ. ეს განკარგულება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ერევანსა და მის რაიონში უწესოება იკიდებს ფეხს.

## საქართველო

**ქართველ ტეხნიკოსთა საზოგადოების სატერმინოლოგიო სექციის წევრებს კრება ექნებათ თიბათვის 27-ს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზში. კრებამ უნდა აირჩიოს სექციის თავმჯდომარე და მდივანი.**

**ღვინის აკრძალვის გამო.** ამიერ კავკასიის კომისარიატს სხვა და სხვა კუთხიდან წერილები მოსდის, რომლებშიაც იუწყებიან, რომ რადგან ჩვენში მხოლოდ მევენახეობას მისდევენ; გლეხები პურს ჰყიდულობდნენ ღვინოში აღებული ფულით, მაგრამ რადგან ეხლა ღვინის ვაჭრობა აკრძალულია, გლეხები დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ და თუ ღვინის ვაჭრობის აკრძალვა ჩქარა არ გაუქმდა, შემოდგომაზე მოსალოდნელია დამშეული ხალხის არეულობა.

**უკვალოდ დაკარგულნი.** ჯარის კაცი იოსებ ხოდელ ძე მსახურობდა მეექვსე სამთო ბატარეიაში, არტილერიის მეოცე ბრიგადაში არზრუმის მხარეს. მარტის 28-ს ავადმყოფობის გამო ლაზარეთში გაჰგზავნეს და მას შემდეგ მისმა დედმამამ არაფერი იცის რა მისი, თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ გვაცნობოს ამ მისამართით, თბილისი, მთავარი სახელოსნო ვაგონთა ცეხი, ივანე ხვედელიძეს.

## გლეხთა დელეგატების ყრილობა

თიბათვის 22 ყრილობა.

**სასურსათო საკითხი.** დღეს კრება არკვევს სასურსათო მდგომარეობას კავკასიაში და კერძოდ ამიერ-კავკასიაში. დიდ მოხსენებას კითხულობს ბ-ნი ბისი. მისი მოხსენებით ომის პირველ დღეებში სასურსათო საქმეს არავინ არ ჩაუფიქრებია, ვინაიდან რუსეთი მეურნე ქვეყანად ითვლებოდა, რომელიც დასავლეთ ევროპაშიაც მრავალ სურსათს ჰგზავნიდა, მაგრამ ერთი მხრივ ძველი მთავრობის მუხანათობამ და მეორე მხრივ ხარჯის გადიდებამ. მაგალითად ომამდე საშუალოდ ჯარს 30 მილიონი ფქვილი უნდებოდა, ამ ჟამად კი საშუალოდ 65 მილიონი ფუთი ფქვილი უნდება, მცხოვრებლებს ომამდე საშუალოდ 26—30 მილიონი ფუთი ფქვილი უნდებოდა. თუმცა დღეს სასურსათო საქმე ახალმა მთავრობამ ხელთ აიღო, მაგრამ საქმე მაინც გამწვავებულია. მიზეზი ის არის, რომ ხალხი არ არის მიჩვეული საზოგადოებრივ მუშაობას. სასურსათო კრიზისი მეტისმეტად გამწვავებულია ამიერ კავკასიაში. როგორც გამორკვეულია არც მომავ ლში იქნება სასურსათო საქმე კარგ პირობებში ამიერ კავკასიისთვის. მაგალითად ქუთაისის გუბერნიაში მოსავალი წელს საშუალოდ დააკმაყოფილებს მცხოვრებლებს გარდა ოზურგეთის და სენაკის მაზრებისა, სადაც მოსავალს ძლიერ ცუდი პირი უჩანს. თბილისის გუბერნიაში მოსავალი საშუალოა გარდა ზაქათალის ოლქისა სადაც ბრინჯს ძლიერ ცუდი პირი უჩანს. ბაქოს გუბერნიაში მოსავალს ძლიერ ცუდი პირი უჩანს, ყარსის და ერევნის გუბერნიებში მოსავალი ცუდი იქნება, განჯის და შავი ზღვის გუბერნიებში ადგილ-ადგილ მოსავალი საშუალოა, ადგილ-ადგილ ცუდია—საშუალოდ კი ამ გუბერნიებში მოსავალი მცხოვრებლებს არ ეყოფათ. სულ სხვა სურათია ჩრდილოეთ კავკასიაში. იქ მოსავალი წელს ძლიერ კარგი იქნება, მაგრამ ვეჭვობთ რომ რკინის გზამ შესძლოს სურსათის გადმოტანა. მომხსენებელს ერთი მაგალითი მოჰყავს, ამ ჟამად ჩრდილო კავკასიის სადგურებზე 4 მილიონი ფქვილი არის დაგროვილი, ამიტომ მომხსენებელის აზრით საქმის მოგვარება სასურსათო კომიტეტს ძალუძს. მომხსენებელი ამტკიცებს პურის მონოპოლიის უპირატესობას და კრებას მოუწოდებს, რომ მიღებულ იქმნას მისი რეზოლიუცია სასურსათო საკითხის შესახებ:

1) დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას ამიერ კავკასიაში პურის მონოპოლია.

2) უნდა ჩავაგონოთ სოფლის ხალხს, რომ ყოველ მხრივ მხარი დაუჭირონ სასურსათო კომიტეტებს.

3) გამორკვეულ იქმნას პირნახულის რაოდენობა ჩვენში.

4) დაწესებულ იქმნას ხარჯის ნორმა და რაც შეიძლება ზედმეტი ხარჯები მოსპობილ იქმნას.

მოხსენების შემდეგ იმართება კამათი სასურსათო საკითხის შესახებ. პირველად ლაპარაკობს **ხორეხ ვეტჩენიანი**, აღნიშნავს რთულ მდგომარეობას გუმბრის მაზრისას, სადაც ერთ დროს მთავრობამ ფუთი ფქვილი ორ მანეთად შეისყიდა და ახლა კი მცხოვრებლებზე ფუთს ფქვილს და თანაც ცუდს 10 მანეთად ჰყიდის.

ტერ-გრიგორიანი აღნიშნავს, რომ მრავალ ადგილას სასურსათო კომიტეტის წევრები მის ვრებლების მიერ კი არ არიან არჩეული, არამედ დანიშნული უცნობ პირების მიერ. მოჰყავს—მაგალითები, რომ ეს კომიტეტები ქრთამებს იღებენ და სურსათს მცხოვრებლების მაგიერ მდიდრებზე ჰყიდიან. მოითხოვს, რომ ასეთ შემთხვევაში კომიტეტები ხელახლად იქნას არჩეული. ლაპაკობს კიდევ რამდენიმე პირი, თითქმის იმასვე იმეორებენ, გარდა მაისურაძისა, რომელიც თხოულობს, რომ მთავრობის მიერ ხალხი იყოს გამოგზავნილი, უკიდურეს შემთხვევაში ხალხი მოსავლის მოკრეფას ვერ შესძლებს. თხოულობს აგრეთვე, რომ სოფლებში გაგზავნილ იქნან ცხენები. კამათი გრძელდება. მრავალი ორატორია ჩაწერილი. წინადადებაა, რომ ორატორების რიცხვი და ლაპარაკის ვადა განსაზღვრულ იქმნას. თხოულობენ აგრეთვე კამათის სრულიად შეწყვეტას და საქმის საგანგებო სექციაში გადატანას. უკანასკნელ წინადადებას კენჭი ეყარა და უმრავლესობის მიერ მიღებულ იქნა.

**მ. ხაირხელი.**

## საეკლესიო კრების წინასწარ საბჭოს დაწყობა

თიბათვის 12-ს სინოდის შენობაში დაიწყო საეკლესიო კრების წინასწარ საბჭომ მოქმედება. საბჭოს საქმეების დამთავრების შემდეგ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაც დაიწყობა.

დღის 12 საათზე სასინოდო ტაძარში დახდილ იქმნა სადღესასწაულო პარაკლისი. კიევის მიტროპოლიტ ვლადიმირის კრებაზე დაუსწრებლობის გამო, კრებას თავმჯდომარეობდა არქიეპისკოპოსი პლატონი.

საბჭომ დაადგინა 10 სექციის დაარსება:

სრულიად რუსეთის საეკლესიო ყრილობის მოსაწვევ დროსა და არჩევანთა წესის საკითხისათვის.

რუსეთის უმაღლეს საეკლესიო მმართველობის და საქართველოსა და ფინეთის ეკლესიების მოწყობისათვის.

რუსეთის ეკლესიის პოლიტიკურ მდგომარეობისათვის; ეპარქიების მოწყობა და ოლქის მიტროპოლიისათვის.

საეკლესიო სასამართლო;

სამრევლო რეფორმისათვის;

სქიზმობრივადცებთან, ერთმორწმუნეებთან და ეკლესიის დამოკიდებულებისათვის;

საეკლესიო წირვალოცვასთან დამოკიდებულებისათვის.

მონასტრების და ბერ-მონაზონთა მდგომარეობისათვის.

საეკლესიო მეურნეობისათვის;

სასწავლებლებისათვის.

## თუშების გასაჭირი

ჯერ ისევ მაშინ, როდესაც საქართველოს თავის თავი თვითვე ეკუთნოდა, თუშები საქონლის მოშენებას მისდევდნენ. თუშეთის ბუნება იმდენ მოსავალს არ იძლეოდა, რომ თუშს წლის წლობამდის გამოეკვება თავი, სწორედ ეს გარემოება იყო ერთი იმ უმთავრეს მიზეზთაგანი, რომელიც თუშს იარაღს ხელში აღებინებდა მოსაზღვრე ჩაჩან-დაღესტნის მთებში რომ ხმლით ეპოვნა საზრდო. ეხლაც ალაგ ალაგ სჩანს ბილიკი, რომელიც თუშეთიდან კავკასიონის უმთავრეს ქედის სერ-სერ ჩადის ჭარის (ზაქათალის) თავს. ამ ბილიკს ეძახიან „სათუშო ბილიკს". ამ ბილიკით ჩადიოდნენ დავლის მაძიებელნი თუშები დაღესტანში ჭარამდის, იტაცებდნენ მთაში საქონელს, სწვავდნენ სოფლებს, წაიმძღვარებდნენ საქონელს და ბარგიბარხანით დტვირთულნი შინ ბრუნდებოდნენ. ჭირში თუ ლხინში თუშს თუ არ ეყოლებოდა საკლავი, მივიდოდა მეზობელთან და ეტყოდა: „ერთი ორი საკლავი მომეცი და, როცა „ველათ", ე. ი. სამტაცებლოთ გავალთ, დაგიბრუნებო. მეზობელიც დაუყოვნებლივ აძლევდა. თუშების სამტაცებლოდ ნავარდობა ჩაჩან-დაღესტანში, მათი შეტაკებები ქისტ-ლეკებთან, სოფლების დაწვა-დაბუგვა ბევრ თუშურ ლექსებშია მოთხრობილი.

რასაკვირველია ამ ნაირი ცხოვრება ვერ დააკმაყოფილებდა თუშს. ერთ დღეს თუ მაძღარი იყო, ხუთ დღეს შიოდა და ამ შიმშილში ატარებდა წუთი-სოფელს. ბოლოს და ბოლოს გონება გაეხსნა თუშს, და იმ შეგნებამდინ მივიდა, რომ ისეთი ცხოვრება არ იყო მისთვის საბოლოო, ვერ ჩაუყრიდა თავის ცხოვრებას მკვიდრ საფუძველს. ხვნა-თესვას, საზოგადოდ მეურნეობას ვერ მიჰყობდა ხელს, რადგანაც ამაში ბუნება ვერ უწყობდა ხელს, ჰქონდა ერთად ერთი გზა, ეს გზა იყო საქონლის მოშენება. საქონლის მოშენებას კი ხელს უწყობდა როგორც მთა ისე ბარი.

თუშიც დაადგა ამ გზას. მიჰყო ხელი საქონლის მოშენებას. პირველად თუშები ჩამოდიოდნენ საზამთროდ კახეთში და აქ აყენებდნენ ცხვარს გაღმა მხრის სოფლების ბოლოში. შემდეგ და შემდეგ იწყეს დენა შირაქში, რომლის მინდორი უხვია როგორც საგაზაფხულო და საშემოდგომო, ისე საზამთრო საძოვრებით.

თავისუფლად შეეძლოთ თუშებს ცხვრის დაყენება და ძოვება კახეთის ყოველ სოფლის ბოლოში და შირაქი. არავის არ შეეძლო დაეშალა თუშებისთვის. მეფე თეიმურაზი, ნამეტნავათ ერეკლე მეორე ძალიან სცდილობდნენ, რომ ცხვრის მოშენება გავრცელებულიყო სამეფოში; ამისათვის დიდ შეღავათებს აძლევდნენ მეცხვარეებს სადგურების მხრივ. ცხვარი ნელ ნელა მრავლდებოდა. თუშებიც უფრო და უფრო მუყაითად მოეკიდნენ მეცხვარეობას. მაგრამ არც ისე ადვილი იყო იმ დროს ცხვრის დევნა-მოშენება. საქართველოს გარშემორტყმული დაუძინებელი მტერი—მთაში ჩაჩანლეკები და ბარში ისევ ჭარ-ბელაქნელები და თათრები მოსვენებას არ აძლევდნენ თუშებს. გარდა წვრილწვრილ მტაცებლობისა, რომელიც საზოგადო მოვლენა იყო მთაში, გამოდიოდა მთელი ლაშქარი და დღე იყო თუ ღამე თავს ეცემოდნენ მეცხვარე თუშებს, ჰხოცდნენ ცხვრის პატრონმწყემსებს და ცხვარი კი ათიათასობით მიუდიოდათ თავიანთ ქვეყანაში. თუშებიც ძვირად უსვამდნენ ჩაჩანლეკ-თათარს თავდასხმას, მტაცებლობას.

იღვროდა სისხლი, არ არის თუშეთში, ან შირაქში ისეთი ალაგი, რომ არ მორწყულიყოს თუშის სისხლით. ჰღვრიდა თუში სისხლს, გააფთრებული ებრძოდა რიცხვით მასზე ბევრად ძლიერ მტერს. ბევრმა დრომ განვლო ამ ბრძოლაში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გამარჯვებული მაინც თუშები დარჩნენ. შედარებით დამშვიდდა ქვეყანა, ნამეტნავად მას შემდეგ, რაც დაიჭირეს შამილი, აშკარად ვეღარ მტაცებლობდნენ ჩაჩან-ლეკ თათრები. თუშს შეძლება მიეცა მშვიდად, უშიშრად მოევლო თავის ცხვრისთვის. ამ მშვიდმა, უშიშარმა მოვლამ თავის ნაყოფი გამოიღო. ისე გაამრავლეს თუშებმა ცხვარი და ცხენი, რომ აღარ ეყოთ საზამთროდ შირაქი და საზაფხულოდ თუშეთის მთები. თუშებმა გაიწ-გამოიწიეს.

მოშენდა თუში საქონლით. ორმოცორმოცდაათი წლის წინად ერთ თუშს ათასი სული ცხვარი თუ ჰყავდა იშვიათი მოვლენა იყო, ეხლა კი ორი-სამი ათასიც ბევრსა ჰყავს.

თუშმა გაითქვა სახელი როგორც მეცხვარემ, როგორც ცხვრის მომშენებელმა. ეხლაც ყოველ ქართველ მეცხვარეს: ფშაველს, ქიზიყელს, მთიელს თუშს ეძახიან თათრები, ბერძნები, სომხები და საქართველოს ფარგალში მცხოვრები სხვა ტომები. თბილისში ყველი, საკლავი, ერბო რომ იყიდონ ფშაველისაგან, ან სხვა მთიელისაგან თუშისაგან ვიყიდეო გეტყვიან. ეს იმით აიხსნება, რომ საქართველოში განსაკუთრებით ცხვრის მომშენებელნი ძველადვე თუშები იყვნენ.

კარგი სახელი მოიხვეჭა ბაზარზე თუშის საქონელმა, როგორც მატყლმა, ყველმა, ერბომ, საკლავმა და სხვ.

მოღონიერდა თუში ქონებრივად და ამ ქონებრივ მოღონიერებასთან ერთად გონებრივადაც განვითარდა. მეცხვარეობა ისეთი ხელობაა, რომ კაცს ცხოვრების ყოველ დარგში ავარჯიშებს. მეცხვარე ჰყიდის და ყიდულობს, დადის თავის საქონლით მთაში, ბარში, ჰხვდება სხვა და სხვა ხალხს, აქვს მასთან სავაჭრო საქმე, ეცნობა მის ზნე-ჩვეულებებს, გონების თვალსაზრისს, ენას, საზოგადოთ ცხოვრებას,—ერთი სიტყვით შედარებით ფართოა მისი ცხოვრების ასპარეზი. ამ გონებრივ განვითარებას უნდა მივაწეროთ, რომ ეხლა თუშებში, უფრო წოვებში, ძლიერ არის სწავლა-განათლებისადმი ლტოლვილება. მაგალითად დღეს წოვა თუშებში ორმოც წლის ქვეით არა მგონია მოიპოვებოდეს ისეთი „რეგვენი", რომ წერა-კითხვა არ იცოდეს. სოფელ ალვანის ორ კლასიანი სასწავლებელი სავსეა მოსწავლე ბავშვებით. უადგილობის გამო ბევრი ბავშვი გარედ რჩება. თუ სადამდინ არის თუშის დედა სწავლა განათლების სურვილით გამსჭვალული, სჩანს სხვათა შორის იმ კეთილშობილურ სურვილიდან, რომელიც გამოიხატება თუშის ქალის სიტყვებიდან: „შენი მდიდარზე გათხოვება იმისთვისა მშურს, რომ შეძლება გექნება შვილი სკოლაში გაზარდოო".

დიდებულია ეს [illegible] და ის ხალხი, რომლის დედა გამსჭვალულია ამ შურით, არ მოკვდება, ბედნიერ აყვავების გზას დაადგება!

მაგრამ ასტყდა ომი. გავიდნენ საქართველოს ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე შვილები. მოირწყო მათი სისხლით მთა-ველები ცივ რუსეთიდან დაწყებული ცხელ მესოპოტამიის ველებამდინ. გავიდა ყველა ჯანსაღი ვაჟკაცი და შინ დარჩა მოხუცი და წვრილ-ფეხობა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მეცხვარე თუში. შესადარებელი არ არის მეურნეობა და მეცხვარეობა. მიწა მაინც და მაინც არსად არ წავა, მოვლა-პატრონობა არა საჭიროა, თუ დღეს არ მოიხვნა არ მოითესა, ხვალ მოიხვნება და მოითესება. გაჭირვების დროს, როგორც ეხლა, მეურნეობას ხნიერი ვაჟკაცი კიდევ შესძლებს, მოიშველიებს 15—16 წლის ვაჟებს, დედაკაცობას, და მოხვნა-მოთესვას; დღეს ასეც არის ჩვენ სოფლებში, რომ გაიაროთ, ყველგან მინდორში თუ ბოსტან-ვენახებში დაინახავთ მომუშავეთ ჭლარა კაცებს, ქალებს და ბავშვებს. სულ სხვაა მეცხვარეობა. დღე და ღამ ჯოხზე ყუდილი, დღე-ღამეების და სიცხე-სიცივეების ტეხვა, მთელი კვირაობით და თვეობით ცხვრის დევნა. ბარიდან მთაში, მთიდან ბარში, ბრძოლა იარაღით ხელში ნადირსა და კაცთან. ყველა ამას, რასაკვირველია ხნიერი ვერც კაცი და ვერც ქალი ფიზიკურად ვერ აიტანს. სწორედ ეს არის, რომ ჯარში გაწვევის დროს ბევრმა თუშმა, ვისაც სხვა მომვლელი არა ჰყავდა, მოუსო ჯოხი თავის ცხვარს და გაჰყიდა.

ფარას-ფარაზე მიერეკებიან თათრები თუშის განთქმულ ცხვარს. გულამომჯდარი, თვალცრემლიანი აცილებს თუში თავის კალთის ქვეშ შვილებივით აღზრდილ ცხვარს. ამდენი ამაგი, ჭირ-ვარამი, დღე-ღამის ტეხვა!..

ვინც არ გაყიდა მისი ცხვარიც სათუოშია, მამა-პაპიდანვე მიუძინებელი მტერი თუშებისა, ეხლაც მტაცებლობით მცხოვრები ქისტი, გალაღებული თარეშობს მთაში და ახალ სისტემის თოფით შეიარაღებული ჰხოცავს თუშს მწყემსებს და იტაცებს ცხვარს. გამოდიან ქისტები სათარეშოთ ოცობით, ასობით. ვინ დაუდგება წინ, ვინ არის პატრონი? პატრონი შორს ბრძოლის ველზე გმირულად ანთხევს სისხლს და მის ქონებას—ცხვარს-კი დამცველი, უბრალო გულშემატკივარიც-კი არა ჰყავს. სჩივიან თუშები, სადაც ჯერ არს, ემუდარებიან: გვიშველეთ, დაგვიხსენით ამ შინაურ მტრისაგან, ვილუპებით, ხელიდან გვეცლება მთელი ავლა-დიდება. თუ თქვენ არა, შვილები მაინც დაგვიბრუნეთ, თუ შვილებს არ დაგვიბრუნებთ, იარაღი მაინც მოგვეცით დანარჩენებს, რომ ჩვენ თავად შეგვეძლოს ჩვენი თავის, ჩვენი ქონების დაცვაო,—მაგრამ ყველაფერი ამაოდ რჩებათ.

ამ რიგად ხელიდან ეცლებათ თუშებს ცხოვრების სახსარი—ცხვარი, საზოგადოთ საქონლის მოშენება. მეურნეობას ჯერ-ჯერობით ვერ მიჰყვება თუში, ამისთვის არც სამყოფი მიწა აქვს, არც საამისო ცოდნა და არც შეჩვეულია მიწის მუშაობას. მაშ რით იცხოვრონ თუშებმა?—უნდა ნელ-ნელა დაიქსაქსნენ, დაიფანტნენ აქეთ-იქით დაბა-ქალაქებში, სხვა და სხვა სოფლებში—ზოგი იხოდრებს, ზოგი იდალალებს, ვისაც ცხვრიდან ფული შერჩა წვრილ ვაჭრობას დაიწყებს. ერთი სიტყვით „თუშის" სახეს იცვლის თუში. გადაშენდება და გადაგვარდება.

მაშინ ჯვარი უნდა დაუსვათ თუშებს ამ ძველადვე გმირობით განთქმულ, გაუტეხელ, ამაყ, პირდაპირ, ნიჭიერ და ფხიზელ გონებიან ხალხს!..

**იგ. ბუქურაული.**

## დარიგება

**ქალაქის თვითმართველობის არჩევნებისთვის**

1. ქალაქის თვითმართველობა ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ დაჩქარებით მოახდინონ ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნები თანახმად ახალ გამოცემულ დროებითი წესდებისა (დროებითი მთავრობის დადგენილება 15 აპრილიდან 1917 წ., განყოფილება II, დამატება I კანონთა და განკარგულებათა კრებული 1917 წ. მუხლი 529).

2. ქალაქის გამგეობანი წინა მუხლში მოხსენებულ საარჩევნო დროებითი წესების გამოქვეყნებისათანავე შეუდგებიან ქალაქის საარჩევნო სიების შედგენას და აგრეთვე ქალაქის კერძო

საარჩევნო უბნებად დაყოფას, თუ ეს საჭირო იქნება ხმის მიცემის გასაადვილებლად.

ქალაქის გამგეობანი წინდაწინვე გამოითხოვენ ქალაქის საბჭოსაგან ნებართვას და წესრიგს იმისას, თუ რა დღეს რომელ საათზე და რა ადგილას უნდა მოხდეს არჩევნები და დროულად ამას გამოაქვეყნებენ. ამასთანავე საბჭოსვე ნებართვით აქვეყნებენ სახმოსნო კანდიდატებისა და ამორჩეულ ხმოსნების და მათ მოადგილეთა სიებს (დროებითი წესების მუხლები: 13, 14 და 33).

საგუბერნიო კომისარები ქალაქის თვითმართველობებს ხელს უწყობენ არჩევნების წარმოებაში მით, რომ აძლევენ საჭირო განმარტებას როგორც არჩევნების წარმოების შესახებ საზოგადოდ, ისე დროებითი წესებში მოხსენებულ არჩევნების დროსა და დღის დანიშვნის შესახებ და სხვა.

შენიშვნა: ამ „დარიგების“ (ნაკაზის) წესები, რომელნიც ეხება ქალაქის საბჭოთ, ქალაქის თვითმართველობათა და ქალაქის მოურავებს, ეხება აგრეთვე ქალაქის რწმუნებულთა საკრებულოს და ქალაქის მამასახლისებს.

3. იმ ქალაქებში, რომელნიც არ არიან დაყოფილნი საარჩევნო უბნებად, შეადგენენ ამრჩეველთა ერთ სიას და მათ გვარებს დაალაგებენ ანბანის რიგზე. თუ ქალაქი დაყოფილია რამდენიმე საარჩევნო უბნად (დროებ. წესებ. მუხლები 1 და 7) მაშინ ერთი საზოგადო სიის მაგივრად შეადგენენ რამდენსამ სიას თითოეული უბნისათვის ცალკე და აქაც თვითეული—საარჩევნო უბნის ამრჩევლების გვარებს დაალაგებენ ანბანის რიგზე. პირს რომელსაც რამდენიმესამე საარჩევნო უბანში აქვს ხმის უფლება. იმ უბანში შეიტანენ ამომრჩეველთა სიაში, რომელსაც ის წერილობით დაასახელებს; მაშინ ქალაქის თვითმართველობის შეხედულობით მოათავსებენ ერთ-ერთ საარჩევნო უბნის სიაში.

4. ანბანზე დალაგებულ სიაში ჩაიწერება ამრჩეველთა გვარი, სახელი და მამის სახელი. სიაში შეტანილი ამრჩევლის გვერდით აღინიშნება: ა) რიგის ნომერი ქალაქის ყველა ამომრჩეველთა კვალობაზე ან და თითოეული საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა კვალობაზე, ბ) ამომრჩევლის წლოვანება იმ დღისათვის, როცა აღწერა იწყება, თუ სისწორით არ იქნება აღნუსხული წლოვანება, ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ამრჩეველი არა ნაკლებ 20 წლისაა, გ) დროებითი წესების მე-3 მუხლში მოხსენებული ნიშნები, რომელნიც ამოწმებენ ამრჩევლის კავშირს ამ დროსთვის განსაზღვრულ ქალაქთან და დ) ამომრჩევლის მისამართი.

5. იმ ნიშნებად, რომელნიც ამრჩეველს აკავშირებენ ქალაქთან ითვლება: 1) ამომრჩევლის ცხოვრება ქალაქში საარჩევნო სიების შედგენის დროს; 2) იმ პირთათვის, რომელნიც საარჩევნო სიების შედგენის დროს ქალაქში არ იმყოფებიან,—დრ. წეს. 3 მუხ. სხვა ნიშნებია (საოჯახო მოწყობილობა ქალაქში, სამსახური ან სხვა რამ განსაზღვრული საქმე). ამის და კვალობაზე საარჩევნო სიაში უნდა იყოს აღნიშნული ამრჩევლის ქალაქთან დამაკავშირებელი ყველა ის ნიშნები, რომელნიც დროებ. წესების მე-3 მუხლშია მოხსენებული თითოეული კერძო შემთხვევისათვის.

6. საარჩევნო სიის შედგენის დროს კანონებს ჰკრებენ ამრჩევლის შესახებ იმ პირთა შეკითხვის საშუალებით, რომელთაც შეუძლიათ ასეთი ცნობების მიწოდება, აგრედვე დოკუმენტების გაშინჯვით, სათანადო დაწესებულებათა შეწევნით და სხვა.

ქალაქის თვითმართველობა საარჩევნო სიების შედგენის დროსვე მიმართავს ქალაქში დაბანაკებულ ჯარების ნაწილების და გარნიზონის უფროსებს თხოვნით, რომ მათ შეადგინონ ერთი საზოგადო სია ან და, თუ ქალაქი დაყოფილია საარჩევნო უბნებად, საუბნო სიები იმ პირთა, რომელნიც სამხედრო სამსახურში იმყოფებიან სათანადო სამხედრო ნაწილში და ქალაქის ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ (დრ. წეს. მუხლ. 3 და 11); ეს სიები უნდა წარმოადგინონ ქალაქის გამგეობაში სამი დღის წინად მაინც გამგეობის მიერ დამზადებული საარჩევნო სიების ხელმეორეთ საყოველთაო გასაშინჯად გამოქვეყნების დრომდის.

7. საარჩევნო სიის შესადგენად ქალაქის გამგეობას შეუძლია მიმართოს, გარდა თავის ხელქვეითთა, ქალაქში არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც (ქალაქის სარაიონო, საუბნო ან საოჯახო სასურსათო და სხვა კომიტეტებს)

8) საარჩევნო სია შეიძლება დაიწეროს ხელით ან გადამწერი მანქანის საშუალებით იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება; ამ სიის სტამბის, ლიტოგრაფიის და ან სხვა მექანიკური საშუალებით გამრავლებ - გავრცელება არაა სავალდებულო. საყოველთაო გასაშინჯად გამოტანა როგორც პირველ შედგენილი, ისე გასწორებული სიისა (დრ. წეს. მუხლ. 9 და 11) ხდება სიის გამოფენის საშუალებით თვალსაჩინო და ამრჩეველთათვის მისადგომ ადგილას ქალაქის გამგეობის ან სხვა რომელიმე შენობაში,—ან და სხვა საშუალებით, რომელსაც ქალაქის გამგეობა სცნობს თუ მიზანშეწონილად. ამრჩეველთა საუბნო სიები სათანადო უბნებია გაიკვრება. საზოგადო გინდ უბნის საარჩევნო სიების საყოველთაო გასაშინჯად გამოფენის ადგილისა და დროს შესახებ ქალაქის მცხოვრებთ ეცნობება ადგილობრივ გაზეთებში განცხადების მოთავსების და ან რაიმე სხვა საშუალებით, ამასთანავე გამოცხადდება ისიც, რომ სიის ან სიების გასინჯვა შეიძლება დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდის.

9) როცა საარჩევნო კომისიები შესდგება (დრ. წეს. მუხლები 15 და 16), ქალაქის გამგეობა დაუყონებლივ დაუგზავნის მათ საარჩევნო სიებს კუთვნილებისამებ. არჩევნების მოხდენის დროს საარჩევნო სია უნდა იყოს არჩევნების შენობაში საარჩევნო კომისიის განკარგულებაში.

10) სახმოსნო კანდიდატების სიები ქალაქის მოურავს წარედგინება და ჩამოერთმევა მიღების ბარათი სიაზე ერთ-ერთ ხელისმოწერისაგან. წარდგენილ სიაში მოთავსებულ თითოეული კანდიდატის შესახებ ნაჩვენები უნდა იყოს ცნობები, რომელთაც შეიტანენ საარჩევნო სიაში; ასეთისავე სისრულით და უკლებლივ უნდა აწერდენ ხელს სიას მისი წარმდგენელნი. ქალაქის მოურავი წარდგენილ სიებს გადაათვალიერებს მიღებისთანავე და თუ რამ ნახა შიგ ასეთი, რაც არ ეთანხმება დროებითი წესების მე-14 მუხლს,—მიაქცევს ამაზე სიის წარმომადგენთა ყურადღებას იმ შემთხვევისათვის, თუ ისინი მოისურვებენ სიის შესწორებას. ამასთანავე სიის წარმომდგენ ამრჩეველთა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ, თუ სიაში მოათავსეს ასარჩევ ხმოსანთა საზოგადო რიცხვის ნაკლები, ამას არჩევნების შემდეგ, შეუძლია გამოიწვიოს დროებითი წესების მე-26 მუხლის ხმარება, ე. ი. რაც აკლია წარდგენილი სიით ამრჩეველთა საზოგადო რიცხვს იმის, სხვა სიათა შორის განაწილება.

იმ პირებმა, რომელნიც განცხადებულ სიაში არიან შეტანილი სახმოსნო კანდიდატებად, უნდა დაამოწმონ თავისი თანხმობა, რომ, თუ არჩეული იქნებიან, იკისრებენ ხმოსნობას, წარწერით თვით სიაზე, ან წერილით, ან დეპეშით ქალაქის მოურავის სახელზე. ის კანდიდატები, რომელთა შესახებ არ იქნება მიღებული სათანადო ცნობა მათ მიერ ხმოსნობის წოდების მიღების თაობაზე განცხადებული სიების გამოქვეყნებამდის ორი დღის წინად, ამ სიებიდან გამოირიცხებიან. თითოეულ პირს, რომელიც არდგენს სიას, ამ სიის მიღებისათანავე უთითებენ ამ წესებზე და წინდაწინვე აფრთხილებენ.

ქალაქის მოურავი დროზედვე ღებულობს ყველა საჭირო ზომებს, რომ განცხადებულ სიათა გამოქვეყნება მოხდეს არა უგვიანეს დროებითი წესების მე-14 მუხლში მოხსენებული ვადისა, ამასთანავე ერთსა და იმავე დროს და ერთი და იმავე საშუალებით სიები დალაგებული უნდა იყოს მათი ნუმერაციის რიგზე. სიების წარმომდგენთა ამ სიების ქვეშ ხელის მოწერის დაბეჭდვა აღკრძალულია. ეს სიები გამოქვეყნდება ქალაქის მოურავისა და გამგეობის არა ნაკლებ ორი წევრისაგან ხელმოწერილი.

უკეთუ ქალაქის მოურავი უარს იტყვის, რომელიმე სიის გამოქვეყნებაზე მისი სისწორით შეუდგენლობისა გამო,—დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ გაასაჩივრონ ეს არჩევნების სისწორის გასაჩივრების ერთდა იმავე დროს დროებით წესების 31 და 32 მუხლების თანახმად, რომლებიც ეხება ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნებს.

11) არჩევნების დანიშვნის დროს ერთ-ერთ კვირას ან სხვა უქმე დღისათვის, (დრ. წეს. 13 მუხ.), რომ მცხოვრებთა უმრავლესობას შეძლება მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, ყურადღება უნდა მიექცეს მცხოვრებთა დაყოფას ეროვნების, სარწმუნოებისა და ადგილობრივ განსხვავებათა მიხედვით.

12. არჩევნების მოსახდენად ქალაქის გამგეობა წინდაწინვე ამზადებს საარჩევნო ბარათებს, საარჩევნო ბიულეტენებს, მათთვის კონვერტებს (დრ. წეს. 17 და 20 მუხ.) და ურიგებს ამ ნივთებს ამრჩევლებს, რომელნიც მოითხოვენ, ამასთანავე აძლევს მათ საჭირო ახსნა-განმარტებას. საარჩევნო ბარათები პირველი არჩევნებისათვის მიცემული, გამოდგება იმ არჩევნებისთვისაც რომელიც აღნიშნულია დრ. წეს. 32 და 35 მუხლებში იმ პირთ, რომელთაც პირველ არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა და აგრედვე იმათაც, რომელთაც დაუკარგავთ საარჩევნო ბარათები, შეუძლიათ მიიღონ ქალაქის გამგეობიდან ახალი საარჩევნო ბარათები და მონაწილეობა მიიღონ ახალ დანიშნულ არჩევნებში.

13. არჩევნების მოსახდენად ქალაქის გამგეობა შესაფერ შენობას შოულობს, უმეტეს ნაწილად საზოგადო სახმარებელ სახლებში. თითოეულ საარჩევნო შენობაში ფარული კენჭის ყრის უზრუნველსაყოფად დანიშნულია რამდენიმე ადგილი, სადაც საარჩევნო ბარათების შესადგენად დალაგებულია სამწერლო ნივთები. გარდა ამისა, საარჩევნო შენობაში, ქალაქის გამგეობის შეხედულობით, შეიძლება გამოიყოს გარეშე პირთათვის რამდენიმე, თუნდა ცოტაც, ადგილი, რომ ამ პირთა შეძლება ჰქონდესთ არჩევნებს დაესწრონ ისე, რომ არჩევნების წესიერ მიმდინარეობას კი ხელი არ შეუშალონ.

14. არჩევნების დღეს საარჩევნო კომისიების ბინის კარები მუდამ ღიაა დილის 9 საათ. საღამოს 9 საათამდის (დრ. წეს. 13 მუხ.) საარჩევნო შენობის შესავალთან გაკრული უნდა იყოს კომისიის წევრთა სია. როცა საჭიროება მოითხოვს კომისიის თავმჯდომარის დროებით სადმე წასვლას მაშინ თავმჯდომარეობა გადაეცემა კომისიის ერთ-ერთ იქ მყოფ წევრთაგანს.

საარჩევნო კომისიებისათვის საკანცელარიო სამუშაოში საშველად ქალაქი- გამგეობა გზავნის თავის მოსამსახურეებს.

15. არჩევნების დღეს, როცა საარჩევნო კომისიის სხდომა გახსნილია, თითოეულ ამომრჩეველს შეუძლია გამოცხადდეს საარჩევნო სახლში ყოველ დროს და თავისი საარჩევნო ბარათი ჩააგდოს საარჩევნო ყუთში. ის ამომრჩეველნი, რომელთაც თავისი საარჩევნო ბარათები ჩააგდეს ყუთში და აგრედვე ისინიც, რომელთაც უარი უთხრეს ბარათის მიღებაში არ უნდა უშლიდენ ხელს არჩევნების წარმოებას და თუ დარჩენას მოისურვებენ, უნდა გადავიდენ გარეშე პირთათვის დანიშნულ ადგილზე (ამ დარიგების 13 მუხ.)

16. საარჩევნო შენობაში შესვლისას ამრჩეველი თავის საარჩევნო ბარათს ურდგენს იმ პირთ, რომელნიც კომისიისაგან დანიშნულნი არიან ამ მიზნისთვის; ესენი ბარათში აღნიშნავენ არჩევნების დღეს, ხოლო ბარათის ნომერი, რომლითაც ის გამოცემულია, შეიტანება განსაკუთრებულ სიაში. კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია სხვა საშუალებითაც შეამოწმოს აქვს თუ არა ამა თუ იმ პირს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება.

17. საარჩევნო წინასწარი აგიტაცია, რაც გამოიხატება მოწოდებათა გავრცელებაში, წიგნაკებისა და პლაკატების დარიგებაში, სიტყვების წარმოთქმაში და სხვა და სხვა არჩევნების დღეს აღკრძალულია როგორც იმ შენობებში, სადაც არჩევნები ხდება, ისე ამ შენობების კიბეებზე, გასავლებში და კარიდორებში და საერთოდ მათ გარედან შესავალშიაც.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თვალყურს ადევნებს, რომ არჩევნების დროს საარჩევნო შენობაში სუფევდეს სრული წესრიგი, სიმშვიდე და სრულდებოდეს რიგი, რომ საარჩევნო ბარათების კითხვისა და ხმების დათვლის დროს არავინ შევიდეს იმ სტოლთან, სადაც საარჩევნო კომისიის წევრები სხედან, რომ არავინ გამოსთქვას თავისი მსჯელობა და სხვა. წესრიგის დამრღვევთ კომისიის თავმჯდომარე დაუყოვნებლივ გააძევებს საარჩევნო შენობიდან.

18. საარჩევნო შენობაში იდგმება ერთი ან რამდენიმე ზემოდან ნახვრეტიანი ყუთი საარჩევნო, ვინემ ბარათების ჩაგდება დაიწყებოდეს წარედგინება დამსწრეთ, რომ შიგ ბარათები არ არის და ერთი ნახვრეტის მეტი არ აქვს, შემდეგ ყუთებს დაბეჭდავენ საარჩევნო კომისიის ან ქალაქის გამგეობის ბეჭედით და ბეჭდიან ქაღალდზე ხელს მოაწერენ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები, აგრეთვე დამსწრე ამრჩევლებიც, ვისაც სურს.

19. საარჩევნო ბარათის ფორმატი უბრალო საწერი ქაღალდის ერთი ფურცლის (თაბახის) მერვედ ნაწილს უდრის. საარჩევნო ბარათში აღინიშნება გამოცხადებული სახმოსნო კანდიდატების სიის მხოლოდ ნომერი, რომელთაც ხმას აძლევს ამრჩეველი.

ეს აღინიშნება საარჩევნო ბარათზე ციფრით ან ასოებით, ამასთანავე გამოცხადებული სიის ნომერი იწერება ბარათზე ხელით, ან იბეჭდება სტამბის, ლიტოგრაფიის, გადამწერი მანქანის ან სხვაგვარ საშუალებით. ის საარჩევნო ბარათები, რომელნიც სრულიად არ არის შედგენილი, გაურკვევლად არის დაწერილი და ხელმოწერილია ამომრჩევლის მიერ, აგრედვე ისეთები, რომლებშიაც ჩაწერილია ამრჩევლისათვის სასურველი სახმოსნო კანდიდატები, ან თუ ერთ პაკეტში ორი და მეტი ბარათია ჩადებული—ასეთი საარჩევნო ბარათები ნამდვილად არ ითვლება, სათვალავში არ მიიღება და ახლოდ ოქმს მიეკრება. აგრედვე ბარათები, რომელნიც წარდგენილია არა ერთის, არამედ რამდენიმე საარჩევნო სიის ხმის მისაცემად, არ არის ნამდვილი.

20. საარჩევნო ბარათს არდგენს ამრჩეველი წინდაწინ, ანდა არჩევნების დღეს თვით საარჩევნო კომისიის შენობის იმ განყოფილებაში, რომელიც ამ მიზნისთვის არის დანიშნული და დახურულ პაკეტით პირადათ აძლევს თავმჯდომარეს. ეს უკანასკნელი, დარწმუნდება რა, რომ პაკეტზე ქალაქის გამგეობის ბეჭედია დასმული, ამრჩევლის თანადასწრებით ჩააგდებს საარჩევნო ყუთში. საარჩევნო ყუთში ჩაგდებულ თითოეულ ბარათს საარჩევნო სიაში აღნიშნავენ ხმის მიმცემის გვარის გვერდით.

სტოლთან, რომელზედაც სდგას საარჩევნო ყუთი, ამრჩევლები სასტიკი წესის დაცვით რიგ-რიგობით მოდიან. თუ საჭირო იქნება ამ მიზნისათვის სტოლთან მოაჯირებს სდგამენ.

21. საღამოს 9 საათზე საარჩევნო შენობის კარები იხურება, რის შემდეგ საარჩევნო ბარათებს ღებულობენ მხოლოდ იმ ამრჩეველთაგან, რომელნიც ცხრა საათამდის იყვნენ მოსული. როცა გათავდება ბარათებიანი პაკეტების მიღება, საარჩევნო ყუთის ნახვრეტი იბეჭდება იმ წესით, რაც ნაჩვენებია ამ დარიგების მე-18 მუხლში და ყუთს მიუჩენენ მცველებს ან სამხედრო პირთაგან ან და ქალაქის მილიციისას. ამავე დროის კომისიის თავმჯდომარე აცხადებს იმ ამრჩეველთა რაოდენობას, რომელთაც ხმა მისცეს, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში (დრ. წეს. 28 მუხ.)

22. საარჩევნო ბარათებიანი, პაკეტებისა და სახმოსნო კანდიდატების განცხადებული სიებისათვის მიცემულ ხმების დათვლა ხდება არჩევნების მეორე დღეს, დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდის. საარჩევნო კომისია სხდომის გახსნისთანავე ყოვლის უწინარეს ამოწმებს მრთელია თუ არა საარჩევნო ყუთზე ბეჭედი და „იარლიკი“, შემდეგ ხსნის ყუთს და შეუდგება შიგ მოთავსებული საარჩევნო ბარათებიანი პაკეტების თვლას, ამასთანავე ადარებს ერმანეთს პაკეტებისა და არჩევნებში მონაწილე ამრჩევლების რიცხვს. უკეთუ ბიულეტენების რიცხვი არ ეთანხმება არჩევნებში მონაწილეთა რიცხვს—ეს საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმში აღინიშნება (დრ. წეს. 8 მუხ.) როცა პაკეტებს დათვლიან, შემდეგ გახსნიან მათ, შიგ მოთავსებულ ბარათებს შეკემპელს დაჰკრავენ საარჩევნო კომისიის სხდომის დღის აღნიშვნით, ნომრებს დაუსმენ, დაალაგებენ ნომრობით, გარდა იმ ბარათებისა, რომელნიც ნამდვილად არ იქნა ცნობილი, განცხადებული სახმოსნო კანდიდატების სიების კვალობაზე, რომელთაც ეს ხმები მისცეს, შემდეგ დაითვლიან ამა თუ იმ განცხადებულ, სიისათვის ბარათებით მიცემულ ხმებსა. დათვლის შედეგი შეიტანება სხდომის ოქმში, სადაც აღინიშნება უვარგისად ცნობილ ბარათების რაოდენობა და მიზეზი მათი უვარგისობისა. უკეთუ ხმების დათვლა ერთ დღეს არ გათავდა, გაგრძელდება შემდეგ დღეებშიაც, ამასთანავე საარჩევნო წარმოების მასალა საქმის შეჩერების დროსათვის დაიბეჭდება.

23. ბარათებით მიცემულ ხმების დასათვლელად საარჩევნო კომისიას შეუძლია თავისი წრიდან გამოჰყოს კერძო მცირე კომისიები, არა ნაკლებ სამ პირთაგან შემდგარი. საარჩევნო ბარათებიანი პაკეტები ასეთ შემთხვევაში დაინომრება და დანაწილდება კომისიის თავმჯდომარისაგან მცირე კომისიათა შორის, რომელნიც მათ დასთვლიან.

24. როცა არჩევნები უბნობით ხდება, უბნების საარჩევნო კომისიებს ხმების დათვლის შემდეგ, ჩასდებენ ხოლმე პაკეტებში ჯგუფებად დანაწილებულ საარჩევნო ბარათებს, დაბეჭდვენ პაკეტებს და სხვა საარჩევნო დოკუმენტებთან ერთად იმავ დღესვე წარადგენენ ქალაქის საარჩევნო კომისიაში.

25. ქალაქის საარჩევნო კომისია თითოეული განცხადებული სიისათვის მიცემულ ხმებს დასთვლის მთელ საარჩევნო ოლქში. უკეთუ არჩევნები უბნობით მოხდა ქალაქის კომისია აერთებს ხმებს, რომელიც მიიღო ამა თუ იმ სიამ ყველა უბნებში. უბნებით ხმების სათვალავი, როგორც მთელი საქმის წარმოება უბნების საარჩევნო კომისიების, ქალაქის საარჩევნო კომისიას შეუძლიან დამოუკიდებლად შეამოწმოს.

26. ხმების დათვლის შემდეგ, რაც ნაჩვენებია წინა (25) მუხლში, ქალაქის საარჩევნო კომისია შეუდგება მთელ ოლქში ასარჩევი ხმოსნების საზოგადო რიცხვის პროპორციალურად განაწილების განცხადებულ სიათა შორის იმის კვალობაზე, თუ რამდენი ხმა მიიღო არჩევნებზე ამა თუ იმ სიამ.

დანაწილებას [illegible] ჰყოფენ, რაც დროებ. წეს. [illegible] მუხლშია ნაჩვენები.

27. იმ პირთ, რომელნიც ხმოსნებად ან მათ მოადგილეთ აღმოჩნდნენ არჩეული, აცნობინებს ამას ქალაქის გამგეობა.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8,20 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.15 საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.33 საღ. |
| ბაქ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.03 დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 დილ. |

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთზე

1917 წლ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკელია.

III წელ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III წელ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

## „თავისუფლება“-ზე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი პირვ). წლიურათ ჟურნალი ღირება 7 მ., ნახევარი წლით 4 მ, სამი თვით 2 მ. თვიურად 80 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნომრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისიდორე კვიცარიძესთან. თბილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. ჭიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ბაქოში—სანდრო ქურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში და მოსკოვში, სტ. შალვა დ. გომართელთან. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:

Кутаисъ, Роману Спиридоновичу Панцхава.

## 1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადული“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

**ფოსტისთვის:** Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსავლელი დავითის ქ. № 2 დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე თოხების-ძე თუმანიშვილი.

(291—42)

## სააავადმყოფო

**სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:**

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

**ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.**

შელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ასპიზოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს აათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—26

## თევზის მრეწველნი
## ძმ. ძიზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 713.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სხვაგვარი სახლ. [illegible] ახალი ქვირითის ხიზილალა, [illegible] „[illegible]“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო [illegible] ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი [illegible] [illegible] გვაქვს აგრედვე მიღებული [illegible] კონსერვები და [illegible] რუსეთის და საზღვარ-გარეთის [illegible] (წ.)